



აჭიფენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„ღამტკიცებუღია“
შპს აჭიფენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორისა და დირექტორის ერთობლივი ბრძანებით
N01-09/02, 23.01.2025 დანართი N8

**შპს აჭიფენა - ბათუმის სამედიცინო
უნივერსიტეტის
დიპლომისშემდგომი მზადების - რეზიდენტურის
პროგრამის განხორციელების წესი**

2025

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2. რეზიდენტურის პროგრამების მართვა	1
მუხლი 3. სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე აფილირებული დანესებულებები	2
მუხლი 4. რეზიდენტურის პროგრამაზე დაშვება	2
მუხლი 5. რეგისტრაცია - სპეციალობის მაძიებლის დოკუმენტაციის მიღება და დამუშავება - კონკურსის პირველი ეტაპი	4
მუხლი 6. ტესტირება - კონკურსის მე-2 ეტაპი	4
მუხლი 7. გასაუბრება - კონკურსის მე-3 ეტაპი	5
მუხლი 8. კონკურსის საბოლოო შედეგები	5
მუხლი 9. ჩარიცხვის ბრძანება და ხელშეკრულების გაფორმება	6
მუხლი 10. რეზიდენტის დაფინანსება და დასაქმების პროგრამა	6
მუხლი 11. სარეზიდენტო პროგრამების განმახორციელებელი პირები	7
მუხლი 12. სარეზიდენტო პროგრამებზე სასწავლო პროცესის განხორციელება	7
მუხლი 13. რეზიდენტის შეფასება სწავლების პროცესში	8
მუხლი 14. სასწავლო პროცესში შეფასება - ტესტირება	9
მუხლი 15. აპელაცია	9
მუხლი 16. რეზიდენტის უფლებები და ვალდებულებები	10
მუხლი 17. რეზიდენტის სტატუსის ცვლილება	11
მუხლი 18. რეზიდენტის მიერ მოდულის განმეორებითი გავლა	11
მუხლი 19. პროგრამის/მოდულის დასრულების შედეგები	12
მუხლი 20. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელის შეფასება	12
მუხლი 21. ხარისხის მართვა და მონიტორინგი	12

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	23.01.2025	01-09/02	რეგორი და ღირექტორი	პირველადი რედაქცია	01	

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება ეფუძნება საქართველოს კანონს „საექიმო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის [№135/ნ ბრძანებას](#) „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ და „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის [№136/ნ ბრძანებას](#).

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომი ტექსტში - „უნივერსიტეტი“ ან „ავიცენა“) სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აგრეთვე, სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს.

1.3. ავიცენას რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მედიცინის სხვადასხვა სპეციალობაში დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადება სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული რეზიდენტურის პროგრამების შესაბამისად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მზადების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.4. რეზიდენტურის პროგრამების სწავლის საფასურთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დირექტორის ბრძანებით, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით;

მუხლი 2. რეზიდენტურის პროგრამების მართვა

2.1. რეზიდენტურის პროგრამების ორგანიზებასა და მართვაზე პასუხისმგებელია უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდგომში ტექსტში - უპგ ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული და ცენტრის ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამების მართვას შესაბამისი რეზიდენტურის პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით;

2.2. რეზიდენტურის პროგრამის განხორციელების მიზნით ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამის პროცესის უზრუნველყოფას/განხორციელების მონიტორინგს;

გ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სახელით სამინისტროსთან, ან/და სხვა ადგილობრივ/საერთაშორისო ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან თანამშრომლობას;

დ) სასწავლო პროცესის ორგანიზებას, პროცესის დაგეგმვასა და შეფასებას, დოკუმენტირებას, პროცესის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას (უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა მოთხოვნის საფუძველზე), პროცესში მონაწილე პირთა მიერ მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ზედამხედველობასა და კონტროლს;

ე) რეზიდენტურის პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით რექტორის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე აფილირებული დაწესებულებები

3.1. სარეზიდენტო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს უნივერსიტეტსა და მასთან აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

3.2. უნივერსიტეტთან აფილირებულია სამედიცინო დაწესებულება, რომელთანაც დიპლომის შემდგომი მზადების განხორციელების მიზნით თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი (დიპლომის შემდგომი მზადების განხორციელების თაობაზე) აქვს დადებული ავიციენას უნივერსიტეტს;

მუხლი 4. რეზიდენტურის პროგრამაზე დაშვება

4.1. სარეზიდენტო პროგრამაში სპეციალობის მაძიებელს მონაწილეობის უფლება ეძლევა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობის ან/და შესაბამისი ცნობის წარდგენისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

4.2. რეზიდენტურის პროგრამაზე დაშვების მიზნით მაძიებლისათვის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამების გავლის შედეგად პირისათვის მინიჭებული დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია;

ბ) ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის საფუძველზე მაძიებლის მიერ მოპოვებული 151 და მეტი ქულა.

გ) აპლიკანტს ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული უნდა ჰქონდეს რეზიდენტურის პროგრამაზე მიღებამდე არაუადრეს 3 წლისა;

დ) სხვა დამატებითი კრიტერიუმები ცენტრის წარდგინებით შესაძლებელია დადგინდეს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4.3. რეზიდენტურის პროგრამაზე დაშვება ხდება უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული და ორგანიზებული კონკურსით, წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი წესით.

4.4. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე პირებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებსა და მოქმედ ექიმებს, რეზიდენტურის პროგრამის ერთ სპეციალობაზე. პირს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მისი დიპლომი აღიარებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.5. რეზიდენტურაზე მიღება ცხადება რექტორის ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია რეზიდენტურის მისაღები პროგრამები/სპეციალობები, მისაღებს პირთა ადგილები სპეციალობების მიხედვით (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ლიმიტების ფარგლებში),

მაძიებლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები, საკონკურსო ეგაპები და კონკურსის ჩატარების ვადები.

4.6. კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შევიდნენ:

- ა) უნივერსიტეტის რექტორი;
- ბ) რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი;
- გ) უპე ცენტრის წარმომადგენლები - საჭიროების შესაბამისად;
- დ) რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული დარგის წამყვანი სპეციალისტი/ები, - საჭიროების შესაბამისად.
- ე) რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სხვა პირები.

4.7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები რექტორის ბრძანებით განსაზღვრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. გადაწყვეტილებების დოკუმენტურ გაფორმებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

4.8. კონკურსის ჩატარების ეგაპებია:

- ა) მაძიებელთა განცხადებების განხილვა;
- ბ) გესტირება;
- გ) გასაუბრება.

4.9. სარეზიდენტო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირი ვალდებულია კანდიდატად რეგისტრაციისა და კონკურსში მონაწილეობის მიზნით უზრუნველყოს თითოეულ საკონკურსო ეგაპებზე მონაწილეობა წინამდებარე წესითა და რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, საკონკურსო ეგაპებისათვის დადგენილ ვადებში.

4.10. ცალკეულ შემთხვევაში, კონკურსანგის მიერ დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გაცდენილი რომელიმე საკონკურსო ეგაპი შესაძლებელია განცხადების ინდივიდუალური განხილვისა და რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახლა იქნას დაშვებული.

4.11. მობილობით გადმოსულ რეზიდენტთა მიღება ხდება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისა და მის მიერ გავლილი მოღვაწეობის შესაბამისად ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე. ამ შემთხვევაში წინამდებარე წესის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა კონკურსანგი ვალდებულია წარმოადგინოს სხვა უნივერსიტეტში/კლინიკაში რეზიდენტურის სწავლის დამადასტურებელი ცნობა და მის მიერ რეზიდენტურის პროგრამის შესაბამისად გავლილი მოღვაწეობის ჩამონათვალი.

მუხლი 5. რეგისტრაცია - სპეციალობის მაძიებლის დოკუმენტაციის მიღება და დამუშავება - კონკურსის პირველი ეგაპი

5.1. რეზიდენტურის მაძიებლისგან დოკუმენტაციის მიღებას და რეგისტრაციას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური. ხოლო შემოსული დოკუმენტების საკონკურსო პირობების შესაბამისად გადარჩევას და საკონკურსო კომისიისათვის მიწოდებას უზრუნველყოფს უპე ცენტრი.

5.2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით რეზიდენტურის მაძიებელი რეგისტრაციის მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით შევსებული სააპლიკაციო განაცხადი;
 - ბ) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო მოწმობა ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია გამსვლელი ქულა არანაკლებ 151-სა და გამოცდის ჩაბარების თარიღი (აპლიკანტს ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მიღების მომენტში არაუადრეს 3 წლისა);
 - გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი;
 - დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა და საერთაშორისო პასპორტი).
 - ე) CV/რეზიუმე, სადაც მითითებული უნდა იყოს ასევე საკონტაქტო მონაცემები: ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი;
 - ვ) პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ასეთის არსებობისა და საჭიროების შემთხვევაში).
 - ზ) სხვა უნივერსიტეტში/კლინიკაში რეზიდენტურის სწავლის დამადასტურებელი ცნობა და მის მიერ გავილი მონაკლებების დამადასტურებელი დოკუმენტი - მობილობით გადმოსვლის მსურველი კანდიდატებისათვის.
- 5.3.** დოკუმენტაციის მიღება წარმოებს ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის ან უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად შემოღებული მიზნით შექმნილი ბმულის ან სხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით; საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ მითითებულ ვადაში წარმოადგინოს დარეგისტრირებული ელექტრონული დოკუმენტების დენები მაგერიალური სახით.
- 5.4.** საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეობის მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამუშავებას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 1 (ერთი) კვირისა. მაძიებლისათვის დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გარდება კონკურსის შემდეგი ეტაპი - ტესტირება.
- 5.5.** უპე ცენტრი უზრუნველყოფს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ყველა მონაწილე პირისათვის.

მუხლი 6. ტესტირება - კონკურსის მე-2 ეტაპი

- 6.1.** ტესტირების დაგეგმვასა და მაძიებლების ინფორმირებას ტესტირების ჩაგარების დეტალების შესახებ (დრო და ადგილი) უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების პროფესიული ცენტრი;
- 6.2.** ტესტირების ჩაგარების პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრი, უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მიწოდებული საგამოცდო მასალების საშუალებით. ტესტირების ჩაგარების და აპელაციის წესები რეგულირდება წინამდებარე წესითა და თანდართული ინსტრუქციებით;
- 6.3.** ტესტირება წარმოებს სამი მიმართულებით:
 - ა) ტესტირება საბაზისო სამედიცინო ცოდნის შესამოწმებლად;
 - ბ) ტესტირება ინგლისურ ენაში;
 - გ) ტესტირება ლოგიკურ აზროვნებაში.
- 6.4.** ტესტის დრო: 2 საათი (120 წუთი).
- 6.5.** ტესტირების გამსვლელი შედეგების ზღვარი გადაიხედება უნივერსიტეტის მიერ, წლიური ნაკადის და ჯამური შედეგებიდან გამომდინარე;

- 6.6. ტესტირების შედეგები ეცნობება საკონკურსო კომისიას.
- 6.7. ტესტირებაზე დასაშვებად კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი).
- 6.8. ტესტირების ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მაძიებელი გადადის კონკურსის მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

მუხლი 7. გასაუბრება - კონკურსის მე-3 ეტაპი

- 7.1. გასაუბრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელია უპე ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის წევრებთან შეთანხმებით მონაწილე პირთა გასაუბრების გრაფიკის შედგენას და მათ ინფორმირებას.
- 7.2. კონკურსანტმა გასაუბრებისას უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- 7.3. გასაუბრებას ატარებს რეგორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია;
- 7.4. გასაუბრების პროცესში ივსება მაძიებლის ინტერვიუს შეფასების დოკუმენტი (იხ. დანართი #1), რომელსაც კომისიის წევრები ადასტურებენ ხელმოწერით.

მუხლი 8. კონკურსის საბოლოო შედეგები

- 8.1. მაძიებლის საბოლოო შეფასება წარმოებს შესარჩევი ეტაპების წონების მიხედვით, რომელიც გადანაწილდება შემდეგნაირად:
 - სამედიცინო ტესტი - 20%
 - ინგლისური ენის დავალება - 10%
 - ლოგიკურ-მათემატიკური უნარ-ჩვევები - 9.9%
 - გასაუბრება - 60%
 - რეზიდენტურის ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ქულა - 0.1%
- 8.2. შესარჩევი ეტაპების დასრულებისა და საერთო შეფასების შემდეგ დგება მაძიებლების რეიტინგი;
- 8.3. რეიტინგის შედეგის შემდეგ ელექტრონულად დგება მაძიებელთა საერთო შეფასების ოქმი (იხ. დანართი #2), რომელიც ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ეგზავნება კომისიის წევრებს. ოქმი და საკონკურსო მასალები ინახება უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრში.
- 8.4. საკონკურსო ეტაპებისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე მაძიებელთა რეზიდენტურაში ჩარიცხვის შესახებ, იღებს საკონკურსო კომისია, ხმათა უმრავლესობით;
- 8.5. პროგრამაში არსებულ ადგილზე/ებზე ჩაირიცხება საუკეთესო შედეგების მქონე მაძიებელი/ები;
- 8.6. საჭიროებიდან გამომდინარე, გამსვლელი ქვლების რაოდენობა შესაძლოა, წლის ჭრილში, დაექვემდებაროს ცვლილებას.
- 8.7. კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ მაძიებლების ინფორმირებაზე პასუხისმგებელია უპე.
- 8.8. მაძიებელი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საკონკურსო კომისიაში. საკონკურსო კომისია

უზრუნველყოფს საჩივრის შესწავლას და მიღებული არგუმენტირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობას განმცხადებლისათვის არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8.9. გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ კონკურსში მონაწილე მაძიებლების (გარდა ჩარიცხული რეზიდენტებისა) დოკუმენტები ექვემდებარება განადგურებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ჩარიცხვის ბრძანება და ხელშეკრულების გაფორმება

- 9.1.** რეზიდენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ბრძანებით;
- 9.2.** ბრძანების მომზადებას უზრუნველყოფს ავიცენას იურიდიული სამსახური;
- 9.3.** რეზიდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება (იხ. დანართი #3).
- 9.4.** ხელშეკრულების გაფორმების პროცესს უზრუნველყოფს უპკ ცენტრი;
- 9.5.** ხელშეკრულებები დგება ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით და ინახება უპკ ცენტრში.

მუხლი 10. რეზიდენტის დაფინანსება და დასაქმების პროგრამა

- 10.1.** ყველა რეზიდენტს, რომელიც ჩარიცხება ავიცენას სარეზიდენტო პროგრამაში, უნივერსიტეტი სთავაზობს დასაქმებას უმცროსი ექიმის პოზიციაზე, უნივერსიტეტთან აფილირებულ ჰოსპიტლებსა და კლინიკებში.
- 10.2.** უნივერსიტეტმა, მაღალი რეიტინგის მქონე რეზიდენტებს შესაძლოა შესთავაზოს ლეფციტური მიმართულებების მიხედვით, საუნივერსიტეტო ჰოსპიტლებსა და კლინიკებში დასაქმება და/ან რეზიდენტურაში სწავლის დაფინანსება. სწავლის დაფინანსების საკითხი გადაწყდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რეზიდენტის შეფასების შესაბამისად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11. სარეზიდენტო პროგრამების განმახორციელებელი პირები

- 11.1.** რეზიდენტურის პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირები.
- 11.2.** პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მათზე დაკისრებული ფუნქციები განსაზღვრულია რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის [№135/ნ ბრძანებითა](#) და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.
- 11.3.** პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიური თანამდებობა (სრული/ასოცირებული/ასისტენტ პროფესორი) ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში არანაკლებ 5-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში. გამონაკლის

შემთხვევებში, პროფესიული განვითარების საბჭოს გადანყვეტილების შესაბამისად, პროგრამ-ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნულ პირს შეიძლება არ ეკავოს აკადემიური თანამდებობა (სრული/ასოცირებული/ასისტენტ პროფესორი) ან არ ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

11.4. მოდულზე პასუხისმგებელი პირი: სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილება, არანაკლებ 2 - წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 4 - წლიანი გამოცდილება, დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში, სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 5 - წლიანი გამოცდილება (საექიმო სპეციალობაში - „საოჯახო მედიცინა“ მომიჯნავე სპეციალობებისათვის დადგენილი პროგრამის შემთხვევაში, „საოჯახო მედიცინაში“/პირველად ფანდაცვაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 - წლიანი გამოცდილება) და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამის გავლა. მოდულის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში.

მუხლი 12. სარეზიდენტო პროგრამებზე სასწავლო პროცესის განხორციელება

- 12.1.** სარეზიდენტო პროგრამებზე სასწავლო პროცესი ხორციელდება პროგრამის შესაბამისად.
- 12.2.** სასწავლო პროცესი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, აგრეთვე რეზიდენტთა მორიგეობას უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.
- 12.3.** ღამის მორიგეობისაგან თავისუფლებიან ორსული, მეტუქური და 3 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი რეზიდენტები. მათი მორიგეობის გრაფიკი განისაზღვრება დღის საათებში, სარეზიდენტო პროგრამით დადგენილი ხანგრძლივობით.

მუხლი 13. რეზიდენტის შეფასება სწავლების პროცესში

- 13.1.** სწავლების პროცესში რეზიდენტს უგარდება შუალედური და შემაჯამებელი შეფასება;
- 13.2.** შუალედური შეფასება - გარდება სწავლების ყოველი წლის დასრულების შემდეგ. შეფასება გარდება გესტირების სახით. (50 გესტი) თითო გესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი 0 ქულით.
>60% - დადებითი
45%-59% - დასაშვებია განმეორებით გესტირების ჩაბარება
<45% - გავლილი მოდულების განმეორებით გავლა.
მოდულების გავლის შემდეგ განმეორებითი გესტირების ჩაბარების უფლება, არაუმეტეს 2-ჯერ;
- 13.3.** სწავლების ყოველი წლის დასრულების შემდეგ შეფასება გარდება 2 ეტაპად:
პირველი ეტაპი - გესტირება (100 გესტი). თითო გესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი 0 ქულით.
გესტირების შედეგები:

>60% - დადებითი

45%-59% - დასაშვებია განმეორებით ტესტირების ჩაბარება

<45% - გავლილი მოლულების განმეორებით გავლა, პროგრამის ხელმძღვანელის მითითებით. მოლულების გავლის შემდეგ განმეორებითი ტესტირების ჩატარების უფლება, არაუმეტეს 2-ჯერ; თუ განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი ისევ არ იქნება დადებითი, რეზიდენტს შეუწყდება სწავლის სტატუსი.

მეორე ეტაპი - მეორე გასაუბრება, ტარდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ხელახალი გასაუბრება უნდა ჩატარდეს ორი კვირის შემდეგ. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს ასახავს შუალედური შეფასების გასაუბრების ფორმაში (იხ დანართი #4);

თუ განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი ისევ არ იქნება დადებითი, რეზიდენტს შეუწყდება სწავლის სტატუსი.

შემაჯამებელი შეფასება - საბოლოო შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ:

სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ, შემაჯამებელი შეფასება ტარდება 2 ეტაპად;

პირველი ეტაპი - მეორე გასაუბრება, ტარდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ხელახალი გასაუბრება უნდა ჩატარდეს ორი კვირის შემდეგ.

მეორე ეტაპი - ტესტირება (200 ტესტი). თითო ტესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი 0 ქულით.

ტესტირების შედეგები:

>60% - გამსვლელი შედეგი

45%-59% - დასაშვებია განმეორებით ტესტირების ჩაბარება

<45% - გავლილი მოლულების განმეორებით გავლა, პროგრამის ხელმძღვანელის მითითებით. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება. მოლულების გავლის შემდეგ განმეორებითი ტესტირების ჩატარების უფლება;

თუ განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი ისევ არ იქნება დადებითი, რეზიდენტზე არ გაიცემა დოკუმენტი რეზიდენტურის პროგრამის გავლის შესახებ.

13.4. რეზიდენტის/მაძიებლის კლინიკური უნარ-ჩვევების და თეორიული ცოდნის შეფასება ხდება შეფასების შემდეგი ფორმების საშუალებით:

- ა) სტაციონარში მორიგეობის შეფასება;
- ბ) მოლულის მიმდინარეობის პროცესში შეფასება;
- გ) მოლულის დასრულების შემდეგ შეფასება;
- დ) სასწავლო წლის დასრულების შემდეგ შეფასება;
- ე) პელაგოგის მიერ რეზიდენტის/მაძიებლის შეფასება;

მუხლი 14. სასწავლო პროცესში შეფასება - ტესტირება

14.1. რეზიდენტის სასწავლო პროცესში მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით ტესტების შემუშავებას ახდენენ მოლულისა და პროგრამის ხელმძღვანელი;

14.2. თითოეულ ტესტს აუცილებელი წესით მიეთითება კითხვის წყარო;

- 14.3. ტესტების სამუშაო ვერსიები დგება მოლულის ხელმძღვანელების მიერ;
- 14.4. ტესტების საბოლოო გადახედვა ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- 14.5. შედგენილი ტესტები საბოლოოდ თანხმდება მოლულისა და პროგრამის ხელმძღვანელების შორის;
- 14.6. პროგრამის ხელმძღვანელი ტესტების საბოლოო ვერსიები გადაეცემა უნივერსიტეტს ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით.
- 14.7. ტესტირების გეგმა-გრაფიკს და ტესტირების ჩატარების ადგილის შესახებ ხდება რეზიდენტის წინასწარი ინფორმირება;

მუხლი 15. აპელაცია

- 15.1. რეზიდენტს შეუძლია შედეგების გამოცხადებიდან/მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, წერილობით/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაასაჩივროს გამოცდის შედეგი;
- 15.2. გასაჩივრების შემთხვევები განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ; სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი და საჭიროებისამებრ, შესაბამისი მოლულის ან/და მიმართულების ხელმძღვანელი.
- 15.3. სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დასტურდება და იგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- 15.4. გასაჩივრების განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა დასრულდეს განაცხადის მიღებიდან 5 (სამუშაო) დღის ვადაში.

მუხლი 16. რეზიდენტის უფლებები და ვალდებულებები

- 16.1. რეზიდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება;
 - ბ) სწავლების პროცესში მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა: მოლულის განსაზღვრული თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის სასწავლო მასალაზე - სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა, ისარგებლოს დაწესებულების მაგერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - გ) მონაწილეობდეს სარეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის შეფასებაში;
 - დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
 - ე) მოითხოვოს სამართლიანი შეფასება. არადაამაკმაყოფილებელი საგამოცდო შეფასებისას მოითხოვოს შედეგის გადახედვა;
 - ვ) სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით მიმართოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;
 - ზ) განაგრძოს სწავლება საზღვარგარეთ; ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ გავლილი კურსის ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე პროგრამის ავტორის/ან ავტორთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს პროფესიული განვითარების საბჭო;
 - თ) გადავიდეს ერთი აკრედიტებული დაწესებულებიდან მეორე აკრედიტებულ დაწესებულებაში;

ი) ისარგებლოს აკადემიური შვებულებით.

16.2. რეზიდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის და მასთან აფილირებული სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
- გ) სამედიცინო დაწესებულებაში გატარებული ყოველი დღე დააფიქსიროს აღრიცხვის ბარათში (იხ. დანართი #5);
- დ) შეასრულოს დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
- ე) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი, შუალედური და შემთხვევითი გამოცდა;
- ვ) მეცადინეობის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, წინასწარ აცნობოს მოდულზე პასუხისმგებელ პირს და წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა (ან საპატიო მიზეზის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);
- ზ) რეზიდენტი ვალდებულია, მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური, რომლის ფორმატი დადგენილია არსებული კანონმდებლობით.
- თ) რეზიდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე და შემდეგ სასწავლო პროცესში ყოველთვიურად უზრუნველყოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდა.

მუხლი 17. რეზიდენტის სტაგუსის ცვლილება

17.1. რეზიდენტის სტაგუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) პროგრამის დასრულება;
- გ) ფინანსური დავალიანება;
- დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
- ე) შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის მოთხოვნის შეუსრულებლობა-ვერდაძლევა;
- ვ) რეზიდენტის მიერ მოღულის მიმდინარეობისას მეცადინეობების 1/2 -ის არასაპატიო მიზეზით გაცდენა;
- ზ) რეზიდენტის მიერ, მოღულის განმეორებით გავლაზე არასაპატიო მიზეზით უარის თქმა;
- თ) რეზიდენტის სტაგუსის შეჩერებიდან სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობის 1/2 -ის ვადის გასვლა;
- ი) გარდაცვალება.

17.2. რეზიდენტის აკადემიური შვებულების/სტაგუსის შეჩერების საფუძველი:

- ა) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;
- ბ) ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო;
- გ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით;
- დ) სხვა საპატიო მიზეზის გამო;
- ე) საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება/მივლინება.
- ვ) სტაგუს შეჩერებული რეზიდენტი სტაგუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლას აგრძელებს იმ სასწავლო გეგმით, საიდანაც შეუჩერდა სტაგუსი;

17.3. რეზიდენტთან სტაგუსის შეჩერების შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სტაგუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება იმ ტარიფის შესაბამისად, რომელიც დადგენილია რექტორის მიერ, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმების საფუძველზე;

17.4. რეზიდენტს სტაგუსი შეიძლება შეუჩერდეს არაუქმეცეს სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობის $\frac{1}{2}$ -ის ვადით.

მუხლი 18. რეზიდენტის მიერ მოდულის განმეორებითი გავლა

18.1. რეზიდენტის მიერ მოდულის განმეორებითი გავლის საფუძველია:

ა) თვის განმავლობაში, პროგრამის/სწავლების/მეცადინეობის 5 და მეტი დღის არასაპაკიო მიზეზით გაცდენა.

ბ) ტესტირებაზე უარყოფითი შედეგის მიღება.

18.2. განმეორებით მოდულის გავლის შემთხვევაში რეზიდენტი იხდის შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის საფასურს.

მუხლი 19. პროგრამის/მოდულის დასრულების შედეგები

19.1. რეზიდენტურის პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებით სარეზიდენტო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში რეზიდენტი ვეღარ ასწრებს სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების გავლას ან რომელიმე მოდულში/მოდულებში მიიღებს უარყოფით შეფასებას.

19.2. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს ეძლევა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე გავლის უფლება ავიცენას უნივერსიტეტის მიერ გაცემული მოწმობის ან შესაბამისი ცნობის წარდგენის საფუძველზე

მუხლი 20. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელის შეფასება

20.1. რეზიდენტი ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ კონფიდენციალურად (რეზიდენტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის შევსების გარეშე) აფასებს პროგრამის განმახორციელებელ პირს (პედაგოგს) შეფასების ფორმის მიხედვით (იხ დანართი #6);

20.2. რეზიდენტი პროგრამის განმახორციელებელ პირის (პედაგოგის) შეფასებას ახდენს ყოველთვიურად ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

მუხლი 21. ხარისხის მართვა და მონიტორინგი

21.1. აფილირებულ კლინიკაში სარეზიდენტო პროგრამის შესრულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია რექტორის ბრძანებით (დანართი #7) დანიშნული დიპლომის შემდგომი სწავლების ხარისხის მუდმივმოქმედი კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

ა) სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) ცალკეული მოდულების ხელმძღვანელები;

გ) აფილირებული კლინიკის კლინიკური დირექტორი (კლინიკის რესურსების მობილიზების და გამოყენების კუთხით);

დ) ავიცენას უკვ ცენტრსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.